# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02/42

ქ. თბილისი 2 ოქტომბერი 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი უფროსის ვახტანგ მეიფვარიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თავადური" (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვასილ მაკარიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველძე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს „უსაფრთხო სკოლის კონფერენციასთან" დაკავშირებით სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებისა კონფერენციის ამერიკელი სტუმრებისათვის სარესტორნო მომსახურების გაწევა (CPV 55300000).

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1747.35 (ერთიათასშვიდასორმოცდაშვიდი ლარი და 35 თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღურებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

## 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბრების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსი - ვახტანგ მეიფვარიანი.

## 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, ვ. მაიაკოვსკის ქ. 2/4, რესტორანი „თავადური“.

5.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2015 წლის 5 ოქტომბერს.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

## 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.
7.2 მომსახურების გაწევის განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.
7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.7 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადეცემა მიმწოდებლს, ხოლო ორი შემსყიდველს.

## 9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**შემსყიდველი:**

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1
საიდენტიფიკაციო კოდი 205 296 650
სახელმწიფო ხაზინა
კოდი : 707667116
ტელ: 2200220 (3023)

---

სამსახურის უფროსი
ვახტანგ მეიფარიანი

ბ.ა.

**მიმწოდებელი:**

შ.პ.ს. „თვადური“
მის: ქ. თბილისი, ვ. მაიაკოვსკის ქ. 2/4
ს/ს „საქართველოს ბანკი“
ბანკის BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი 202243802
ანგარიში GEBG0000000118542000
ტელეფონი: 596 06 00 88

---

დირექტორი
ვასილ მაკარიძე

ბ.ა.